# სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია სამეგრელოს რეგიონში

16 იანვარი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ 2012 წლიდან საქართველოს მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 118 სარეაბილიტაციო პროექტი განახორციელა. სამეგრელოს რეგიონში, ამ პერიოდში, ინფრასტრუქტურის 17 სარეაბილიტაციო პროექტი დასრულდა. შედეგად რეგიონში მელიორირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 17 000 ჰექტრამდე გაიზარდა. აბაშის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ანჯელის მასივის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია. სისტემა, რომელზეც სამუშაოები ათწლეულებია არ ჩატარებულა, ნატანი მასისგან იწმინდება. მიმდინარე სამუშაოების განხორციელების შედეგად, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დამატებით 500 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე ისარგებლებს სადრენაჟე მომსახურებით. სამუშაოები, რომელთა ღირებულებაა 400 000 ლარი, 2015 წლის სექტემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის გაზაფხულისთვის დასრულდება.

დღეისათვის შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამეგრელოს რეგიონში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 2, ხოლო საქართველოს მასშტაბით 21 სარეაბილიტაციო პროექტს ანხორციელებს.

# შეხვედრა სოფელ მამარჯვებაში

18 იანვარი

დღეს სოფელ გამარჯვებაში შედგა შეხვედრა ადგილობრივ ფერმერებთან ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია იგეგმება საქართველოს ბიუჯეტის და 2014 წლის ნოემბერში საქრთველოს მთავრობასა და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს NL AGENCY - ს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების მხარდაჭერით.

2015 წლის შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და კონსორციუმ „ეპტისა“ შორის გაფორმდა კონტრაქტი ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის განვითარების ეტაპის სამუშაოებზე. ხელშეკრულებით გათვლისწინებულ ღონისძიებებს შორის არის პროექტში ფერმერთა ჩართულობის უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც დღეს პირველი შეხვედრა შედგა. შეხვედრისას მოხდა ფერმერთა ინფორმირება დაგეგმილი პროექტის შესახებ, განხილულ იქნა სამომავლო გეგმები და ირიგაციის თანამედროვე ტექნოლოგიები.

# დარჩელის საღრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია

13 თებერვალი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ოთარ დანელია და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორი ლევან შონია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დარჩელის დამშრობი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ. მიმდინარე სამუშაოებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს.

როგორც კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა აღნიშნა, კომპანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ხობი - ენგურის მდინარეთაშორის მასივზე დარჩელის დამშრობი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 252 000 ლარს შეადგენს. პროექტის ფარგლებში სისტემის 24 კმ. სიგრძის სადრენაჟე არხი აღდგება. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიმდინარე წლის აპრილიდან, სოფელ დარჩელის მოსახლეობა დამატებით 450 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე ისარგებლებს სადრენაჟე მომსახურებით.

# აკვაკულტურის მანვითარების პროექტი იწყება

**14 თებერვალი**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ და კახეთის მხარის გუბერნატორმა, ირაკლი შიოლაშვილმა მეთევზეობის დარგის სპეციალისტებთან ერთად, კახეთის რეგიონში არსებული ტბორები დაათვალიერეს, ფერმერებს შეხვდნენ და აკვაკულტურის დარგის განვითარების კონკრეტულ მიმართულებებზე იმსჯელეს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა საქართველოში თევზის მეურნეობების განვითარების სტრატეგიაზე, რომელიც სავარაუდოდ წლის ბოლოსთვის მზად იქნება.

საქართველოში აკვაკულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე არსებული ტბორები სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო–კვლევით ცენტრს გადაეცეს. მეცნიერები საგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში არსებულ ბუნებრივ და ხელოვნერულ წყალსატევებში არსებულ თევზის მარაგებს შეისწავლიან. ტბორებში თევზის წარმოების განვითარებისთვის საჭირო სამეცნიერო კვლევები და სასელექციო–საჯიშე სახეობების გამოყვანა მოხდება, რაც ფერმერებსა და მეწარმეებისთვის თევზის ახალ სახეობებზე და მაღალხარისხიან ლიფსიტაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.
წყალსატევებში განხორციელებული კვლევების შედეგების მიხედვით, არსებული მდგომარეობის და საჭიროებების გათვალისწინებით, სპეციალისტები ქართველ ფერმერებს და თევზის მწარმოებლებს თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობასა და დანერგვაში დაეხმარებიან.

კახეთის რეგიონში თევზის მწარმოებელ ფერმერებთან შეხვედრებს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი ესწრებოდნენ.

# ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია

17 თებერვალი

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, კახეთის მხარის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნენ. სოფლის მეურნეობის მინისტრი გურჯაანის მუნიციპალიტეტში მდებარე

შპს „საქართველოს მელიორაციის“ განახლებულ რეგიონალური ოფისშიც იმყოფებოდა. ოთარ დანელია სამსახურის მუშაობის პროცესს გაეცნო და თანამშრომლებს შეხვდა.

ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი თებერვლის ბოლოს დასრულდება და დასრულების შემდეგ, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სამი სოფლის - კარდენახი, ბაკურციხე, კოლაგი - მოსახლეობა 3 000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე დრენაჟის სერვისით ისარგებლებს. პროექტის ღირებულება 2 591 000 ლარია.

კახეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის სამინსიტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად წყალუზრუნველყოფილი ფართობი 13 600 ჰექტრამდე გაიზარდა, ხოლო ნიადაგის დაშრობა - 925 ჰექტარზე ხორციელდება. 2016 წლის სარეაბილიტაციო პროგრამით კახეთის რეგიონში იგეგმება 15 სარეაბილიტაციო პროექტის დაწყება ჯამური ღირებულებით 12 943 679 ლარი. აღნიშნული პროექტების დასრულების შემდეგ მელიორირებული ფართობი რეგიონში 6 000 ჰა-ით გაიზრდება.

# ახალი წყალსატევის მეშვეობით კახეთში 140 ჰექტარი მოირწყვება

21 თებერვალი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ კახეთის რეგიონში, ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში, სოფელ ვაჩნაძიანთან მცირე წყალსატევის მოწყობის პროექტი დაასრულა. აღნიშნული წყალსატევი დაათვალიერეს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ, კახეთის მხარის გუბერნატორმა, ირაკლი შიოლაშვილმა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა. ვაჩნაძიანის წყალსატევარი ერთ-ერთია სამი საპილოტე პროექტიდან, რომელიც კომპანიამ ირიგაციის თანამედროვე მეთოდის - წვეთური მორწყვის წესის

გავრცელების ხელშეწყობის მიზნით შეიმუშავა. წყალსატევარში მოხდება 10 000 მ3 წყლის მარაგის დაგროვება, რომლითაც მოსახლეობა სარწყავი სეზონის განმავლობაში 140 ჰექტარ სავარგულს მორწყავს წვეთური ირიგაციის მეთოდით.

კახეთის რეგიონში ხორციელდება, ასევე, ბაკურციხისა და ვაქირის სატუმბი სადგურების საპილოტე სარეაბილიტაციო პროექტები, რომელთა დასრულების შემდეგ მიმდინარე წლის სარწყავი სეზონისათვის მიმდებარე 750 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსარწყავად მოსახლეობის მიერ წვეთური ირიგაციის სისტემები იქნება გამოყენებული.

# იაკუბლოს წყალსაცავის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

29 თებერვალი

იაკუბლოს წყალსაცავი ექსპლუატაციაში შევიდა 1978 წელს. ბოლო წლებში კაშხლის ფერდობსა და მიმდებარე ტერიტორიაზე შეინიშნებოდა ფილტრაციული კერების ზრდა, რაც საფრთხეს უქმნიდა კაშხლის მდგრადობას და აფერხებდა წყალსაცავის სრული დატვირთვით ფუნქციონირებას.

მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო წყალსაცავის რეაბილიტაციის პროექტის პირველი ეტაპი. იაკუბლოს წყლასაცავის რეაბილიტაციის შემდეგ, შესაძლებელი გახდება მისი სრული დატვირთვით და უსაფრთხო ფუნქციონირება.

წყალსაცავი 3000 ჰექტარი მიწის ფართობს ამარაგებს სარწყავი წყლით, ხოლო მთისძირისა და პანტიანის წყალსაცავებთან ერთად ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის, საერთო ჯამში 8 000 ჰექტარი მიწის ფართობის წყალუზრუნველყოფას ემსახურება.

# ირიგაციის თანამედროვე მეთოდების მავრცელების ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო კამპანია დაიწყო

9 მარტი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“ ირიგაციის თანამედროვე მეთოდების გავრცელების ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო კამპანია დაიწყო.

პირველი შეხვედრა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში ჩატარდა, სადაც შპს „საქართველოს მელიორაცია“ წვეთური ირიგაციის გავრცელების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს საპილოტე პროექტს. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ბაკურციხის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია და სარწყავი ქსელის მოწყობა, რომლის დასრულების შემდეგ წყალმომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ 580 ჰექტარი სავარგულების მოსარწყავად წვეთური ირიგაციის მეთოდი გამოიყენონ. აღნიშნული მეთოდის უპირატესობების შესახებ შეხვედრაზე შპს „საქართველოს მელიორაციის“ წარმომადგენლებმა პრეზენტაცია წარადგინეს. ირიგაციის ეს მეთოდი მორწყვის ტრადიციულ, მიგდებით მორწყვის წესზე ბევრად მომგებიანია, ვინაიდან ელექტროენერგიის, წყლის და სასუქის ორჯერ ნაკლებ რესურსს საჭიროებს და მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას.

სოფელ კაკაბეთში გამართულ შეხვედრას კომპანიის ინიციატივით ესწრებოდნენ, ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებიც. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, შპს „საქართველოს მელიორაციის“ კახეთის რეგიონის დირექტორი, ნიკოლოზ ქურთიშვილი სტუდენტებს და ადგილობრივ მოსახლეობას რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ესაუბრა.

საინფორმაციო კამპანიის ფარლებში გარდაბანში გამართულ შეხვედრისას, შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციის შემდეგ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა ადგიობრივ მოსახლეობას გააცნეს ინფორმაცია სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი პროექტების შესახებ. მათ შორის პროექტზე „დანერგე მომავალი“, რომლის ერთ-ერთ კომპონენტია მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსება. სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ფინანსური მონაწილეობა ითვალისწინებს თანამედროვე სარწყავი სისტემების - წვეთოვანი ირიგაციის მოწყობის ღირებულების 50%-ის დაფარვას.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებს ესწრებოდნენ სოფლის მეუნრეობის მინისტრის მოადგილეები დავით გალეგაშვილი და გოჩა ცოფურაშვილი, შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი, ქვემო ქართლის გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი ირინე ფხოველიშვილი.

ირიგაციის თანამედროვე მეთოდების გავრცელების ხელშეწყობის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში შეხვედრები წყალმომხმარებლებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდება.

# კომპანიაში აქცია „გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე“ ჩატარდა

10 მარტი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა აქციაში „გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე“ მიიღეს მონაწილეობა.

სისხლით, რომელიც კომპანიის თანამშრომლებმა გაიღეს „ს.ს. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის“ სისხლის ბანკი შეივსება, საიდანაც საქართველოს სხვადასხვა კლინიკა, კერძო პირები და თავად ინსტიტუტის პაციენტები მარაგდებიან.

სისხლის დონაცია უსაფრთხო პროცესია. გარდა რეციპიენტისა, სარგებელს სისხლის დონორიც იღებს, რადგან სისხლის გაცემის პროცესი სისხლში ახალი უჯრედების წარმოქმნას უწყობს ხელს, რის შედეგად სისხლი ახალგაზრდავდება. დონორთა მიერ ჩაბარებულ სისხლს კომპლექსური ანალიზატორების წყალობით, ფართო სპექტრის, მაღალი ხარისხის გამოკვლევები (სისხლის ჯგუფი და რეზუსი, B და C ჰეპატიტი, შიდსი, ათაშანგი, ჰემოგლობინი) უტარდება.

ს.ს. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტმა“ მონაწილეებს მადლობის სიგელები გადასცა.

კომპანიის თანამშრომლები მომავალშიც გააგრძელებენ აღნიშნულ აქციაში მონაწილეობას და უანგაროდ გაიღებენ სისხლს ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად.

# სამელიორაციო სამუშაოები შიდა ქართლში

14 მარტი

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხასთან სარწყავი სისტემების საექსპლუატაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ საექსპუატაციო სამუშაოების ფარგლებში სოფელი ცხრამუხას ტერიტორიაზე ახორციელებს ტაშისკარის სარწყავი სისტემის ორი გამანაწილებლის 7 კილომეტრიანი მონაკვეთის აღდგენით სამუშაოებს. აღნიშნული გამანაწილებელი არხები ემსახურება 900 ჰექტარი მიწის ფართობის ირიგაციას. სამუშაოების დასრულების შემდეგ, სოფლის მოსახლეობას - დაახლოებით 250 კომლს საშუალება ექნება 120 ჰექტარ მიწის ფართობზე აღადგინოს სასოფლო-სამურნეო საქმიანობა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში არ განხორციელებულა. მიმდინარე სამუშაოები, რომლის ღირებულება 26 000 ლარია, მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს დასრულდება.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა მინისტრს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა შიდა ქართლში სამელიორაციო სისტემების მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

2012 წელს შიდა ქართლის რეგიონში წყალუზრუნველყოფილი იყო 11 000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი. უკანასკნელ 3 წელიწადში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 30 სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში სამუშაოები ჩაუტარდა 380 კმ. საირიგაციო არხს. რის შედეგადაც რეგიონში წყალუზრუნველყოფილი სავარგულების ფართობი 18 700 ჰექტრამდე გაიზარდა. დღეისათვის შიდა ქართლში მიმდინარეობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 1 სარეაბილიტაციო პროექტი. მიმდინარე წლის განმავლობაში იგეგმება 12 გარდამავალი სარეაბილიტაციო პროექტის დაწყება.

# სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების პრეზენტაცია

18 მარტი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ კახეთის რეგიონის დირექტორი ნიკოლოზ ქურთიშვილი საგარეჯოს და გურჯაანის მუნიციპალიტეტების გამგებლებს გიორგი გზირიშვილს და გივი გერგიძეს შეხვდა.

მხარეებმა შეხვედრაზე იმსჯელეს მუნიციპალიტეტების მიხედვით სარწყავ სისტემებზე არსებულ ვითარებაზე. რეგიონის დირექტორმა წარმოადგინა პრეზენტაცია და განიხილა ყველა ის სარეაბილიტაციო პროექტი, რომლის განხორციელებასაც კომპანია აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში გეგმავს.

ნიკოლოზ ქურთიშვილმა ისაუბრა კომპანიაში ამოქმედებული - „მობილური მელიორაციის სამსახურის“ შესახებ, რომელიც გადასატანი სატუმბი სადგურების გამოყენებას გულისხმობს. აღნიშნული სამსახურის შექმნით შესაძლებელი გახდა ისეთი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების წყლით უზრუნველყოფა, რომელთაც წყალი სატუმბი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო შეფერხებით მიეწოდებოდა. მობილური სატუმბი სადგურებით წყალუზრუნველყოფა მოხდება აგრეთვე საირიგაციო სისტემებში წყალნაკლულობის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს. ასევე მიაწოდა ინფორმაცია ირიგაციის თანამედროვე მორწყვის სისტემების გამოყენებასა და დადებით მხარეებზე. წვეთური და დაწვიმებითი ირიგაციის მეთოდი მორწყვის ტრადიციულ, მიგდებით მორწყვის წესზე ბევრად მომგებიანია, ვინაიდან ელექტროენერგიის, წყლის და სასუქის ორჯერ ნაკლებ რესურსს საჭიროებს და მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, რომელსას „საქართველოს მელიორაციის“ და ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობასა და ამ პროცესში მოსახლეობის ჩართულობაზე.

# კახეთის რეგიონში თევზის მწარმოებელ ფერმერებთან შეხვედრა მაიმართა

22 მარტი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინიციატივით და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის მხარდაჭერით კახეთის რეგიონში გაიმართა შეხვედრა თევზის მწარმოებელ ფერმერებთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი, შპს "საქართველოს მელიორაციის" გენერალური დირექტორი ლევან დვალი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დარგობრივი განვითარების სამმართელოს უფროსი არჩილ ფარცვანია, პროექტების მართვის სააგენტოს და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები.

თევზსაშენი მეურნეობების მასშტაბები უკანასკნელ წლებში გაზრდილია - 2015 წელს კომპანიამ წყალი 1 600 ჰექტარზე მეტ სათევზე მეურნეობას მიაწოდა, რაც უფრო აქტუალურს ხდის თევზსაშენ მეურნეობებში წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხს.

აღნიშნული საკითხი წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთევზეობის დარგის სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციის ერთ-ერთ თემას. სპეციალისტებმა თევზის მწარმოებელ ფერმერებს ინფორმაცია მიაწოდეს, ასევე, აკვაკულტურის ახალი სისტემების, დარგის ტექნოლოგიური განვითარების პერსპექტივების შესახებ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა მეტბორეებს გააცნეს ინფორმაცია სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი პროექტების და მეთევზეობის დარგისათვის აგროკრედიტის პერსპექტივების შესახებ.

შეხვედრა დისკუსის ფორმატში წარმიმართა. ფერმერებმა მოსაზრებები გამოთქვეს დარგის მდგომარეობის, პრობლემების და საჭიროებების შესახებ. ხაზი გაესვა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში დარგში თეორიული ცოდნის ნაკლებობას, რომელიც აუცილებელია თევზსაშენი მეურნეობების ეფექტურობის ამაღლებისათვის. ფერმერების მიერ დადებითად შეფასდა დარგის განვითარების მხარდაჭერის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამნისტროს სხვადასხვა

# შეხვედრა შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამელიორაციო სისტემებთან დაკავშირებით

26 მარტი

შპს. „საქართველოს მელიორაციის“ შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის დირექტორმა, ვახტანგ გარდაფხაძემ, ქარელის, მცხეთის, კასპის, გორის, ახალციხის, ასპინძის, ნინოწმინდის, ადიგენისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების გამგებლებთან სამუშაო შეხვედრები გამართა.

მხარეებმა შეხვედრაზე იმსჯელეს მუნიციპალიტეტების მიხედვით სარწყავი სისტემების მოწესრიგებასა და დაგეგმილ პროექტებზე, რომელსაც კომპანია ამ მიმართულებით განახორციელებს.

რეგიონის დირექტორმა წარმოადგინა პრეზენტაცია და დეტალურად განიხილა ყველა ის პროექტი, რომლის განხორციელებასაც კომპანია აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში უახლოეს პერიოდში გეგმავს. სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელებით მოგვარდება და გაუმჯობესდება ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების წყალუზრუნველყოფა, შესაბამისად, გაიზრდება საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა.

ვახტანგ გარდაფხაძემ შეხვედრებზე ისაუბრა სამელიორაციო ინფრასტრუქტურაზე დაგეგმილ საექსპლუატაციო ღონისძიებებზეც.

შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, რომელსაც ესწრებოდნენ

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო სამსახურის უფროსები, საქართველოს მელიორაციისა და გამგებლის წარმომადგენლები ტერიტორიულ ორგანოებში. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ პროექტებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოეთქვათ.

ანალოგიური შეხვედრები შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მხარის ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართა.

# არხის რეაბილიტაცია დუისში

28 მარტი

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, კახეთის რეგიონის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ლევან დვალი პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში იმყოფებოდნენ, სადაც აღდგენილი საირიგაციო არხი დაათვალიერეს და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

საირიგაციო სისტემის მოწესრიგების თხოვნით, პანკისის ხეობის მოსახლეობამ სოფლის მეურნეობის მინისტრს 16 მარტს, სოფელ დუისში გამართულ შეხვედრაზე მიმართეს. ოთარ დანელია ადგილობრივებს პრობლემის დაჩქარებულ ვადებში მოგვარებას დაჰპირდა. სარყწავი სისტემის მონაკვეთი, რომელზეც სარეაბილიტაციო სამუშაოები 30 წელია არ ჩატარებულა, დღეისათვის უკვე აღდგენილია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ, დუისის ტერიტორიაზე არხის 2 კილომეტრიან მონაკვეთზე

სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა, მოეწყო სათავე ნაგებობა და სარეგულაციო ფარი. ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, მიმდინარე წელს, სარწყავი სეზონისათვის სოფელ დუისში 70 ჰექტარი მიწის ფართობი წყალუზრუნველყოფილი იქნება. ხეობაში სამელიორაციო პროექტების განხორციელება ეტაპობრივად გაგრძელდება.

„ჩვენთვის პრიორიტეტულია საზღვრისპირა და მაღალმთიანი სოფლების ხელშეწყობა. რამდენიმე დღის წინ, პანკისის ხეობის მოსახლეობასთან შეხვედრისას სარწყავი წყლის პრობლემა წამოიჭრა, ჩვენ სამუშაოები ჩავატარეთ და დღეს, არხში წყალი უკვე გაეშვა. პანკისის ხეობაში სოფლის მეურნეობის კუთხით ძალიან დიდი რესურსია და შესაძლებელია საინტერესო პროექტების განხორციელება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დიდი დაინტერესებაა ახალგაზრდების მხრიდან და ვეცდებით, მათთვის საინტერესო პროექტები განვახორციელოთ," -აღნიშნა ოთარ დანელიამ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ" კახეთის რეგიონში 2012 წლიდან დღემდე სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 25 სარეაბილიტაციო პროექტი დაასრულა, მათ შორის 3 პროექტი ახმეტის მუნიციპალიტეტში განხორციელდა. ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად, 2012 წლიდან დღემდე წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი კახეთის რეგიონში 6 000 ჰექტრიდან 13 600 ჰექტრამდე გაიზარდა.

კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა, ირაკლი შიოლაშვილმა მოსახლეობასთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ პანკისის ხეობაში ყოველდღიურად ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები. მიუხდავად ამისა, საქმე მაინც ბევრია. სამუშაოები მუდმივად გაგრძელდება და პანკისის ხეობა ერთ-ერთი წარმატებული და განვითარებული კუთხე გახდება.

როგორც პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს წევრმა, ხასო ხანგოშვილმა აღნიშნა, დასაფასებელია, რომ მინისტრმა დანაპირები შეასრულა და სარწყავი წყლის პრობლემა მოკლე დროში მოგვიგვარა. აღნიშნული არხი არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვისთვის გამოიყენება, არამედ 5 წისქვილს აწვდის წყალს. შესაბამისად, ხეობის მოსახლეობისთვის ორმაგად მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა.

შეხვედრის ბოლოს პანკისის ხეობის მოსახლეობამ სტუმრების საპატივცემულოდ დოღი გამართა.